

ხანმეტობისა და ჰაემეტობის გადმონაშთები ზოგ ძველქართულ წერილობით ძეგლში ზურაბ სარჯველაძე[†], თბილისი

X-XI საუკუნეთა ქართულ წერილობით ძეგლებში გამოვლენილია ხანმეტობისა და ჰაემეტობის გადმონაშთები, რომლებიც გადამწერებს გადარჩენიან, ან სწორად ვერ გაუგიათ (თავდაპირველი **ხ-** პრეფიქსი **ხოლო** კავშირად მიუჩნევიათ, ა. შანიძე 1923, 417-424; Шанидзе 1940, 237-240; იმნაიშვილი 1963, 190; იმნაიშვილი 1966, 228-229; მ. შანიძე 1959, 145-147; სარჯველაძე 1968, 259-261; სარჯველაძე 1971, 146-149).

ამ ფორმათა გამოვლენას დიდი მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო ქართული ენის ისტორიისათვის, არამედ ქართული მწერლობის ისტორიისათვის, რადგანაც ისინი უდავოდ მიუთითებენ მათი შემცველი ტექსტების V-VIII საუკუნეთა დედნებიდან მომდინარეობას და ნათელყოფენ უძველესი ქართული მწერლობის სიმდიდრეს.

მოვიტანთ ერთ, ჩვენი აზრით, შთამბეჭდავ მაგალითს. ა. შანიძემ 1940 წელს მიუთითა, რომ ადიშისა და ჯრუჭ-პარსლის ოთხთავებში შემონახულია ხანმეტობის გადმონაშთები. კერძოდ, ადიშის ოთხთავში ა. შანიძემ გამოავლინა **ხ'პოთ** (მრკ. 11,2), **ხაცადეთ** (მ. 15,14), **ხუფროფს** (ი. 15,13), ხოლო ჯრუჭ-პარსლის ხელნაწერებში – **ხუტევეთ** (მ. 15,4). აქედან ბუნებრივად კეთდება დასკვნა, რომ კლასიკური ხანმეტობის (V-VII სს.) ეპოქაში არსებული ოთხთავის ის რედაქციები, რომლებიც შემოგვინახეს, ერთი მხრივ, ადიშის, და, მეორე მხრივ, ჯრუჭ-პარსლის ოთხთავებმა. უაღრესად საყურადღებოა, რომ ეს დადასტურდა კიდევ ლ. ქაჯაიას მიერ ჩატარებული ძიების შედეგად (ქაჯაია 1984).

იმავე ადიშის ოთხთავში ა. შანიძემ იპოვა ჰაემეტობის გადმონაშთები: 8 მაგალითი, როცა **ჰ** შემონახულია ხმოვანთა წინ (თავ-ჰუყოს, პირქუამთ, ჰემტერა, ჰუყევს, პიკუსოდეს, პიკუსოდა, ჰევედრებოდეს), სამეზის ხმოვნის წინ არის წარმოდგენილი ჰაემეტი ტექსტებისათვის დამახასიათებელი **ჰუ** (= **ჰუ**)

მიმდევრობა (*ჰუქბ, ჰუყავ* (ორჯერ), 20 შემთხვევაში *ჰ* გვაქვს წინაენისმიერი თანხმოვნების წინ (*ჰოქუთ, განჰძარცუეს, წარჰძღუე, გამოჰცა* და მისთ. (შანიძე 1923). ერთსა და იმავე ძეგლებში ხანმეტობის, ჰამეტობისა და სანნარეობის არსებობა მიუთითებს, რომ უძველესი დედანი ხანმეტობის ეპოქას ეკუთვნის, შემდგომში ტექსტის ჰამეტი ვარიანტიც არსებობდა, საიდანაც IX საუკუნის მიწურულს გადმოიწერეს ის ტექსტი, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია. ენაში მომხდარი ცვლილებების კვალდაკვალ ტექსტში ბევრი რამ შეიცვალა, მაგრამ გადამწერებმა საბოლოოდ ვერ მოსპეს ადრინდელი ვითარების კვალი.

განსაკუთრებით თვალში საცემია ხანმეტობისა და ჰამეტობის ამსახველი ისეთი ფორმები, როცა ხმოვნით იწყება (*შოჰჰგდებ* – (Sin.-11 78v; იხ. იმნაიშვილი 1963, 190; *ჰაშენებთ* (Sin.-15 178r; *განჰაშოვრებნ* (Sin.-30 101r) *განჰაძეს* (Sin.-30 137r); *განჰაღიდა* (Sin.-30 137r); *განჰეშორა1* (Sin.-30 27r); *ჰიყო* (Sin.-15 225r) (სარჯველაძე 1968, 259-261).

Sin.-97 ხელნაწერში გვაქვს: რად, საყუარელო, თავი თჳსი *მო-ხ'-იძულე* და არა გინებს გამოთავისუფლებაჲ დაფარულთა მათგან წყლულებათა შენთა, 142rb. ჩვენთვის სრულიად უდავოა, რომ *მო-ხ'-იძულე* არ არის ტმესის შემცველი ფორმა (როგორც ეს ამ ძეგლის გადამწერმა მიიჩნია), არამედ ამ ფორმამ შემოგვინახა ხანმეტობის გადმონაშთი. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ ეფრემ ასურის თხზულება “სინანულისათჳს ი-ე” (და, ბუნებრივია, ეფრემის თხზულებათა მთელი კრებულიც) უკვე V-VI საუკუნეებში არსებობდა. როგორც ჩანს, ყოფილა ამ კრებულის ჰამეტური ვარიანტიც, რასაც მოწმობს *შე-მცა-ჰჰამს* ფორმა: *შე-მცა-ჰჰამს* ეკალთა მათ, Sin.-97 66ra.

ოშკის ბიბლიაში (978 წ.) გვხვდება *ჰაცადე* ფორმა: *ჰაცადე*, თავით თ სით ვყავ ესე ყოველი, II მეფ. 4,6. *ჰ* აქ III ობიექტური პირის ნიშანია.

ერთ შემთხვევაში ოშკურ ხელნაწერში *ჰ* დასტურდება *წ* თანხმოვნის წინ: უკუეთუ იხილო კარაული უფლისა შენისაჲ, დავრდომილი ტჳრთსა ქუეშე, არა თანაწარჰკდე, არამედ *აღჰწიო* მის თანა, *გამოსლვათა 23,5 O*.

ჰ პრეფიქსი *ჰჰამთ* ზმნაში ამავე ენობრივი მოვლენის ასახვას წარმოადგენს. ეს ფორმა დასტურდება კლარჯულ მრავალთავში: *ჰჰამთ* მისგან დაუღვენედად, *კლარჯ. მრავალთ. 315,29-30*.

ივდითის წიგნში, რომელიც ოშკის ბიბლიის მიხედვით აკაკი შანიძის მიერაა მომზადებული გამოსაცემად (მადლობას მოვასხსენებ ქალბატონ მზ. შანიძეს, რომელმაც საშუალება მომცა, ამ ტექსტს გავცნობოდი) იკითხება: ამისთვის, კელმწიფეო უფალო, ნუ *თანწარჰვალ* სიტყუათა მისთა, არამედ დაიდევ იგი გულსა შენსა, *ივდით 11,10 O*.

თანწარჰვალ ფორმა ძალიან საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ აქ *ვალ-* ზმნურ ძირთან მეორე სუბიექტური პირის ნიშნად გვაქვს არა *ხ*, როგორც ეს საერთოდ გვხვდება ძველ ქართულში, არამედ *ჰ*.

ლიტერატურა

- იმნაიშილი 1963: ი. იმნაიშილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, II, თბილისი
- იმნაიშილი 1966: ი. იმნაიშილი, საკითხავი წიგნი ძველ ქართულში, II, თბილისი
- სარჯველაძე 1968: ზ. სარჯველაძე, ჰამეტობის გადმონაშთები X საუკუნის სინურ ხელნაწერებში: საქ. მეცნ. აკად. მოამბე, 52, 1, თბილისი
- სარჯველაძე 1971: ზ. სარჯველაძე, ხანმეტ და ჰამეტ ტექსტებში დადასტურებულ ზმნის პირიან ფორმათა საძიებლები, თბილისი
- ქაჯაია 1984: ლ. ქაჯაია, ხანმეტი ტექსტები, I, თბილისი
- შანიძე 1923: ა. შანიძე, ჰამეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის: ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, III, ტფილისი
- მ. შანიძე 1959: მ. შანიძე, ჰამეტობის გადმონაშთები X ს. ერთ სინურ ხელნაწერში: საქ. მეცნ. აკად. ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, I, 1959
- Шанидзе 1940: А. Шанидзе, Переживания ханмэтных форм в грузинских рукописях IX-X-XI веков: სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის მოამბე, I, 3, თბილისი

